1)

წაიკითხე ცხრილში მოცემული ინფორმაცია:

სახელი	დაბადების წელი	დაბადების ადგილი	სკოლა	კლასი
ანი	2002	ბათუმი	№ 8	მეხუთე
დათო	2004	თბილისი	№ 25	მეექვსე
ეკა	2002	თბილისი	№ 8	მეხუთე
კოტე	2002	თბილისი	№ 25	მეხუთე

ჩაწერე ცარიელ უჯრაში იმ ბავშვების სახელები, რომლებიც ერთსა და იმავე ქალაქში დაიბადნენ და თან ერთსა და იმავე ნომერ სკოლაში სწავლობენ.

LIVEWORKSHEETS

2)

წაიკითხე ცხრილში მოცემული ინფორმაცია:

სახელი	დაბადების წელი	დაბადების ადგილი	სკოლა	კლასი
დათო	2002	ბათუმი	№ 25	მეხუთე
ანი	2000	თბილისი	№ 8	მეშვიდე
ეკა	2002	თელავი	№ 8	მეხუთე
კოტე	2003	თბილისი	№ 12	მეხუთე

რომელი ბავშვები დაიბადნენ ერთსა და იმავე ქალაქში?

ა) დათო და ეკა

ბ) ანი და კოტე

გ) დათო და კოტე

დ) ანი და ეკა

LIVEWORKSHEETS

3)

წაიკითხე ცხრილში მოცემული ინფორმაცია:

სახელი	დაბადების წელი	დაბადების ადგილი	სკოლა	კლასი
დიტო	2004	ბათუმი	№ 25	მეხუთე
ნანი	2000	თბილისი	№ 12	მეცხრე
ეკა	2004	თელავი	№ 8	მეხუთე
კოტე	2003	თბილისი	№ 12	მეექვსე

რომელი ბავშვები სწავლობენ ერთსა და იმავე სკოლაში?

ა) დიტო და ეკა

ბ) ნანი და კოტე

გ) დიტო და კოტე

დ) ნანი და ეკა

LIVEWORKSHEETS

4)

სამი თვის განმავლობაში მე-4ᵃ და მე-4ᵇ კლასის მოსწავლეები აგროვებდნენ მაკულატურას. ცხრილში მოცემულია მათ მიერ შეგროვილი მაკულატურის რაოდენობები თვეების მიხედვით.

თვე	მე-4ᵃ კლასი	მე-4ᵇ კლასი
I	30 კგ	14 კგ
II	25 კგ	28 კგ
III	12 კგ	30 კგ

ცხრილის მიხედვით, რომელი წინადადებაა სწორი:

ა) პირველ თვეში მე-4ᵃ კლასის მოსწავლეებმა ნაკლები მაკულატურა მოაგროვეს, ვიდრე მე-4ᵇ კლასის მოსწავლეებმა

ბ) სამი თვის განმავლობაში მე-4ᵃ კლასის მოსწავლეებმა მეტი მაკულატურა შეაგროვეს ვიდრე მე-4ᵇ კლასის მოსწავლეებმა.

გ) პირველ თვეში მე-4ᵃ კლასის მოსწავლეებმა იმდენი მაკულატურა მოაგროვეს, რამდენიც მეორე თვეში მე-4ᵇ კლასის მოსწავლეებმა.

დ) პირველი ორი თვის განმავლობაში მე-4ᵃ კლასის მოსწავლეებმა მეტი მაკულატურა მოაგროვეს, ვიდრე მე-4ᵇ კლასის მოსწავლეებმა.

LIVEWORKSHEETS

5)

ცხრილში მოცემულია რამდენ საათს მუშაობდა ამირანი ივლისის თითოეული კვირის განმავლობაში. ცხრილის მიხედვით რომელი წინადადებაა სწორი?

ივლისის კვირები	**საათების რაოდენობა**
პირველი კვირა	40
მეორე კვირა	50
მესამე კვირა	20
მეოთხე კვირა	60

ა) პირველ და მესამე კვირას ერთად ამირანმა იმდენივე საათი იმუშავა, რაც მეოთხე კვირას

ბ) ივლისის თითოეული კვირის განმავლობაში ამირანი ერთნაირად მუშაობდა

გ) ამირანმა ივლისში სულ 160 საათი იმუშავა.

დ) ამორანმა მეორე კვირას ყველაზე მეტ ხანს იმუშავა.

LIVEWORKSHEETS

6)

მაია, დაჩი, კახი და ნინო სპორტულ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ. მაიამ პირველი ადგილი დაიკავა ჭადრაკში; დაჩიმ - მეორე ადგილი ჭიდაობაში; კახიმ - პირველი ადგილი – ფარიკაობაში; ნინომ მესამე ადგილი – ტანვარჯიშში.

რომელ ცხრილშია მოცემული ეს მონაცემები სწორად?

ა)

სახელი	სახეობა	ადგილი
მაია	ჭადრაკი	პირველი
ნინო	ტანვარჯიში	მეორე
კახი	ფარიკაობა	მესამე
დაჩი	ჭიდაობა	მეოთხე

ბ)

სახელი	სახეობა	ადგილი
კახი	ჭიდაობა	მეორე
დაჩი	ფარიკაობა	პირველი
ნინო	ჭადრაკი	პირველი
მაია	ტანვარჯიში	მესამე

გ)

სახელი	სახეობა	ადგილი
დაჩი	ჭადრაკი	მეორე
ნინო	ტანვარჯიში	მესამე
მაია	ფარიკაობა	პირველი
კახი	ჭიდაობა	მეორე

დ)

სახელი	სახეობა	ადგილი
მაია	ჭადრაკი	პირველი
ნინო	ტანვარჯიში	მესამე
კახი	ფარიკაობა	პირველი
დაჩი	ჭიდაობა	მეორე

LIVEWORKSHEETS

7)

წაიკითხე ცხრილში მოცემული ინფორმაცია:

სახელი	დაბადების წელი	დაბადების ადგილი	სკოლა	კლასი
დაჩი	2003	ბათუმი	№ 8	მეხუთე
დათო	2004	თბილისი	№ 25	მეექვსე
ეკა	2003	თბილისი	№ 8	მეხუთე
კახა	2003	თბილისი	№ 25	მეხუთე

ჩაწერე ცარიელ უჯრაში იმ ბავშვების სახელები, რომლებიც ერთსა და იმავე წელს დაიბადნენ და თან ერთსა და იმავე ნომერ სკოლაში სწავლობენ.

LIVEWORKSHEETS